ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2981956

ნომერი: AR1457374

თარიღი : 17.11.2016

გაცემის თარიღი : 06.12.2016

გაცნობის თარიღი : 06.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ასკურავა , N 14 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ასკურავა , N12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ტალახაძე პ/ნ 01024030248
- თბილისი ბურძგლას 100

ორგანიზაცია:

- შპს ვილასეტი კოდი: 200258577

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის №1457374 17.11.2016წ. პასუხად რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.20.001.012; №01.12.20.001.020;) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) -ში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) — მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გეგმარებით კარკასზე გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს;. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი და ზომები უნდა იყოს: მინიმალური ფართობი – 700 კვ.მ; მინიმალური სიგანე– 20 მ. მინიმალური სიღრმე–30 მ. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მაქსიმალური სიღრმეა 27 კვ.მ. აღნიშნული ნაკვეთების ჯამური ფართი (205 კვ.მ და 399 კვ.მ) არ აკმაყოფილებს მოქმედი ზონისთვის დადგენილ პარამეტრებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: №01.12.20.001.012; №01.12.20.001.020;) არ აკმაყოფილებს ფუნქციური ზონისთვის დადგენილ ნორმებს. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახური ვერ გასცემს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.